განკარგულება:**g-81. 8123013001**
თარიღი:**13/01/2023**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №7

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის მუხლიდან სუბსიდიის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №38 დადგენილების და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საგზაო სატრანსპორტო გადაზიდვის მარშრუტებზე გასაცემი დიზელისა და ბენზინის საწვავის ოდენობა დანართი №1 -ის შესაბამისად. (დანართი №1 თან ერთვის).

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით მუნიციპალური ტრანსპორტის ხელიშეწყობის მიზნით გათვალისწინებულია 130 000 ლარის სუბსიდია დიზელისა და ბენზინის საწვავის შესაძენად.

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით ტრანსპორტის ხელშეწყობის მუხლიდან დიზელისა და ბენზინის საწვავის ამ განკარგულებით პირველი მუხლით გათვალისწინებული რაოდენობით შესყიდვის მიზნით სუბსიდია მიეცეს შპს „საჭე ცაგერს“.

4. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, მერის მოვალეობის შემსრულებელმა და მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა, 2023 წლის ბიუჯეტის ტრანსპორტის ხელშეწყობის შესაბამისი მუხლიდან ანგარიშსწორება მოახდინოს შპს „საჭე ცაგერი“ დირექტორის მიერ წარმოდგენილი „ანგარიშ-ფაქტურების“ შესაბამისად.

5. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ მერის მოვალეობის შემსრულებელმა და მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა 2022 წლის დეკემბრის თვეში მოხმარებული საწვავის სუბსიდია გასცეს 2023 წლის პირველი იანვრისათვის არსებული ნაშთიდან.

6. დაევალოს შპს „საჭე ცაგერი“-ს დირექციას ცაგერი-ამბროლაურის მარშრუტზე მგზავრობის ტრანსპორტირების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს აუქციონის გარეშე ერთეტაპიან ელექტრონულ ტენდერის საშუალებით.

7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს, ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის მუხლიდან სუბსიდიის გაცემის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 იანვრის №5 განკარგულება.

8. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ცაგერის რაიონულ სასამართლოში (რუსთაველის ქუჩა №69).

9. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2023 წლის 01 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი